

1917.

ი. ი. ჯიქია წიგნიანობის

2. 32. 373

ს. 154 თ 3 ე ლ მ

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

(სტორიული & ენოგრაფიული გამოკვლევა)

I

წინა-დროება ისტორიისა. — სე დამუარდა სუფუქველი კა-  
ტობიისის წამოცემისა — სე გაციო ზეკ ცომზე ასიას  
გამოკვლევა.

უკანასკნელის 20—30 წლის განმავლობაში უძვე-  
ლეს ტომებზე, იმათ შთანამოძველობაზე და უოფა-ცხოვ-  
რებაზე ვერძის მსწავლენი სრულებით ახადს აზრს  
დაადგენს. ამ ცვლილების საფუძვლად იმათ აქეთ ორი  
ახალი მტო მცნიერებისა — ენათ შესწავლა ანუ შედა-  
რებითი დინგვისტიკა და არხეოლოგია ისტორიის წინა-  
დროებისა. ენათ შესწავლის საგანია გამოკვლევა ენისა,  
იმისის ფუქვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა, და  
გარდა ამისა შედარება ერთის ენისა მუორესთან, შესა-  
მესთან და სს. აქამომდე შესწავლულია 800-მდე ენა და  
ამ შესწავლამ ცხადად გვიჩვენა იმათში რომელს რომელ-  
თანა აქეს ნაესხაგური კავშირი. ახლა ეს ენები და-  
სწავლენი კრიან მოდგმა-მოდგმად, ნათესავეებად ანუ  
კვარებად გრუბებებად და დალეკტებად. ენის თვისებისა

916. 117

2230 1917

ანუ აგებულობისა მუბრ უკლა მსოფლიო ენისა, მადრი  
 და სლავნი, ამოწვეტილნი და ცოცხლნი, და უფრო  
 სმ მოდგმა ენებად: ერთ მოდგმას შედგენენ ქება,  
 რომელთ შორისაც ენის ფესვი ანუ ძირი შედგენს  
 სიტყვასა და უცვლელად შთება ერთი-ერთს დაკავშირე-  
 ბაში — არსებითს სახელში, ზედ-შესულში, ნაცვალ-სახელ-  
 ში, ზმნაში, კახელედობაში და სხვ. მეორე მოდგმას  
 რთულ სიტყვაში, რომელნიც შედგებიან არიან, ვაქვათ,  
 თრის თუ მკტის ფესვიდამ, ერთი ანუ ორი ამ ფესვით-  
 განი უცვლელად ეკება. მესამე მოდგმის ენებში ფესვი  
 ისე იცვლება, რომ სძირად სრულებით ჰკარგენ თავისს  
 სასიათს და მნიშვნელობას. პირველ მოდგმას (одно-  
 жные) ეკუთვნიან: ჩინური, ტიბეტური და სს.; მეორე  
 მოდგმას (приклепные): იამონური, ავსტრალური, ნეგრუ-  
 ლი აფრიკაში, ამერიკის ენები, თურახული თავისის გრუბ-  
 შებით — ფინურით, თურქულთ, მახოლურით, თუნგუ-  
 ზურით, სამოკდურით. მესამე მოდგმისანი (флексивные)  
 არიან შემდგენი ენანი: ა) სემიტური თავისის გრუბშე-  
 ბით — არამეო-ასსირიულთ (ქლდეური, სირიული და  
 ასსირიული), ხანანურთ (ებრაული და ფინიკიუ-  
 რი) და არამულთ; ბ) ხამიტური მისის გრუბ-  
 შებით — ეგვიპტურით, ლიბიურით და კრიოპიურით;



გ) ინდო-ევროპული შემდეგის გრუპებში — ინდო-ევროპული (ზენდური, სპარსული, სომხური, რუსული, ლათინური, გერმანული, ანგლო-საქსონური), კელტური, ელდინური, იტალიური, გერმანიული (გოთური, სკანდინავური, ქვიშა-გერმანიული, ზემო-გერმანიული), სლავური და ლეტონური. ამ ენების მოდგმით აკებულობაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ზოგიერთნი მეტყუარნი, — მთელი ახალი შვილი, რომელსაც ეგუთუნაინ, მაგ., დარენი და აგასისი, — ამტყვიებენ. ვითომც თვითთუდა მოდგმა იყოს აღმოცენდა ცალ-ცალკე სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა დროს. ამ საგანზე დიდი პასხია და ენათმეცნიერნი მოძვედონ განახებს დასაჯებს; ეს კი უმჯობესია ახლავე, რომ ლინგვისტიკურმა შესწავლამ იქამდე მიადწინა, რომ არა თუ ადაჯინა ის დედა-ენა, რომლიდანაც აღმოსცენდნენ ინდო-ევროპულის ხათესავის ენები <sup>1)</sup>, არამედ ხათლად აღმოკვირინა ინდო-ევროპული უძველეს წინა-მართ შირველი ადგილ-სადგომი, სველებანი, ეოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ურთი-ერთ-მორახი დამო-

1) Bibliothèque des sciences contemporaines — La Linguistique par Abel Hovelacque, Paris, 1876, 198—208.

კიდეულებსა და სს. 2) ერთის სიტყვით, განვითარების  
 ლინგვისტის მიქს-მიულდერის თქმით უნა მთავიძევის  
 დროების წყვილადში, ბერით შორს, ვიდრე ესნიდის  
 და პაპილონის ღერსმებრივი ლიტერატურა, ვიდრე  
 აკვამტის იეროგლიფური მწერლობა. ეს გვაკავშირებს  
 შუაწევრის სიტყვის ვაჭვით კანობრიობის წინა-  
 მართან და იქიდან იწეობს თავის ცხოვრებას 3) 4.

იმავ სავანს, რომელსაც ხვან ზემოდ შეკვებით,  
 სელი დახლო თვით ანსკოლოგიაშიც. ამ სწავლის წყა-  
 როებს შეადგენენ დედა-მინაში ნამარხული გადაშენებულთ  
 ტომთ კვალი, ძველ ნანგრევებში და სასაფლაოებში და-  
 ცული მისი სხვა და სხვა ნაშთი და ნაწარმოები. საუ-  
 ბედუროდ ანსკოლოგია ვერეთ შეჩერებულია უფრო  
 კვრამის ნიადაგზე და ზოგიერთს აზიის ადგილებზე,  
 თუმცა უნდა ვთქვათ, რომ აქამომდე სკოლოგიის მასა-  
 ლების შემწეობით იმან უკვე გარკვია ის ცხოვრება,  
 რომელიც კანობრიობის გაუკვლია ბერით ადრე ისტო-  
 რიის დრომდე. ამ ცხოვრებას ის საზღვრავს სამ საუ-

2) François Lenormant, Manuel d' Histoire  
 Ancienne de l' Orient, Paris, 1869, II, 278—287.

3) Лекции по науке о языке, С.-Петербургъ, 1865,  
 стр. 19, 20.



კუნედ: მარცხის სუკუნის (каменный век) მოძვი-  
 ნარეობაში ადამიანი დაბალ სარისსზე დგას, მკურნებს  
 მხოლოდ სამკურნელს და ჭკის იარაღს; მესამე (სპონზო-  
 ვი) (бронзовый век) წარმატებაში შედის, ჭკის მაგიერ  
 სპონზის თითბერს; მესამე სუკუნე (железный век)  
 წარმოკვადგენს ისტორიულთ ვაშთ დასაწყისს: მხარე-  
 ბა შედის და კრცვლდება რეინის იარაღი და სხვა და სხვა  
 უოფ-ცხოვრებისთვის საჭირო რეინულობა. თქრო და  
 გერცხლი ძველადვე იხმარებოდა. აქ უნდა შევხედო-  
 ვიქიანოთ, რომ თვითთუღია სხენებულთ სუკუნეთაგანი  
 შეიცავს დიდს დროთა სივრცეს და არა ას-წლოვანს  
 დროს, როგორც სასოკადოდ მიღებულია სიტყვა სუ-  
 კუნე, რომ თითქმის უკვლა ადამიანის მოდგმას და ხ-  
 თისაგს, რომელსაც კი ძველადვე უცხოვრია და წარმატ-  
 ბა აღიარებია, გაუღიდა აქვს სამივე სუკუნე, თუმცა  
 სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ჭკუნის მხარეში, რომ  
 უკანასკნელს სუკუნეს ბოლო მოუღო საბერძნეთში და  
 ი კალიაში: დრე, სამსრეთ-დასავლეთს ევროპაში მე. V—VII  
 სუკუ., და სრდილო-აღმოსავლეთს მხარეებში კი მე X—XI  
 სუკუ., ესე იგი ქრისტეს სარწმუნოების მიღებით.

ამ გვარად, როგორათაც ქებისა და არსეოლოგიის  
 შემოწმებით, აგრეთვე სხვა და სხვა ტომთ მესხიერება-



ში დახურგულის გარდამოცემით ახლა სწავლა მარჯვ-  
 რებს უზენეს ძველ მოდგმით პირველ-დასაწყისად აღიქ-  
 მამულს, რომელსაც შედგენს ზემო აზია, <sup>202</sup> ანუ ვიწრო  
 ვაკე-მადლობა, საიდანაც მიმდინარებს დიდი მდინარე,  
 ოთხ-შტოფ დაყოფილი. ეს ვაკე-მადლობა არის ბოდო-  
 რი ანუ ბელურტაგი; ეს ოთხნი შტოფი არიან: ანდოსი,  
 ქედმენდი, ოქსუსი და იაქსარტი. ბოდორას ვაკე-მად-  
 ლობი ანუ ბაქტრიანი უჭრათ ანდო-ვერობელების წინა-  
 მარებს, არაილებს <sup>4)</sup> და მათ ძეზობლად სცხოვრებდნენ  
 სამიტნი, სემიტნი და თურახელები. აქ არაილებს დედ-  
 მამულში, ვადრე ისინი ერთმანეთს დაქმორდებოდნენ  
 ერთი, იმათ ქსტოდნობით მიწას შემუშავება, სესა-თესვა,  
 გზის კეთება, ვარჯ-ქსოვა, ხალი-მეხობა; ისინი სოჯლი-  
 დნენ თურქე ასამდე; ხმარობდნენ სხარტელო მკლად-  
 ეებს და რკინის ცულებს შინ და გარეთ; აგრეთვე მი-  
 ხნურ პირუტყვებს — ძროხას, ცხვარს, ძღვას, ცხენს;  
 მისდევდნენ ხათესობას და ქორწინებას; ქმარნი ღებდნენ  
 თავიანთ უფროსებს და ისვენებდნენ უზენესს არსებას,  
 რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდებდნენ.

4) ლეონორ ქობლას ამის პირდაპირე ციპებს დაუფიქრო-  
 ვამდებია ადგილებს ზემო მდინა, მისე ერთი მხარე ისილე  
 Lenorm., Man. d'Hist., II, 275—277.

სუბი-აზიიდან გაიბნა ადამიანის თქლი სხვა და  
 სხვა მხარეს. რა უნდა უთავილიყო მიხეზა? ამდგომად,  
 ამბობს ამერიკის ისტორიკოსი დრეპერი, რომ ამდგომად  
 მიხეზად მიახსნათ ხალხის გამრავლება და მისი სურ-  
 ვილი ნათავიურის ქვეყნების დატერისა. რასაკვირველია  
 ერთი მიხეზთაგანი ესეც იყო; მაგრამ უნდა გვახსოვდეს,  
 რომ აზიიდან ისეთის ხისწრაფით იწყობოდა მოძრაობა,  
 ეს მოძრაობა შეიცავდა ისეთს სიმრავლეს ხალხისას,  
 რომ უმთავრესი მიხეზი იმისი სხვა რამ უნდა უთავი-  
 ლიყო. ჩვენ ვიციით, რომ უუბკელესის დროდამ აზია  
 შეუბრუნდევდა იბურთება. ამ აბურთებას დიდი გავლენ-  
 ხა აქვს ბუნებაზედაც და კაცზედაც: ჭკვა იცვლება, ციფ-  
 დება; მიუღი მდინარეები შრება და სწყდება. ამ მოვ-  
 ლიებით იხსნება ის შემთხვევა, რომ აზიის მოძრაობა  
 მცხოვრებნი, შერეულნი და შემოფოთებულნი, სტოკბ-  
 დნენ თავიანთ ადგილ-სადგომებს და მიიწყდნენ იქით-  
 კან, სადაც იმით წინ კვებით უკეთესი ადგილები, ვიდრე  
 მათა მხარე <sup>5)</sup> თავიანთ მოგზაურობაში იმით თან გაჭკონ-  
 დათ ძველი მ-ზამური თქმულებაები, რომელნიც დატო-  
 ვილეს ქვეყნის თვისებას ანუ მოვლენას რასმე მოახსენებდ-

5) *Исторія уметвеннаго развитія Европы, С.-Пе-  
 тербургъ, 1865, I, 24 — 28.*



სენ, მკ. თქმულება წარღვნაზე, რომელიც შემდეგ მარტო  
უბრალებში არ იყო გავრცელებული; ამას გარდა ცხინთაძემ  
წყვეულებასაც მისდევდნენ, რა წვეულებასაც მომწოდებში მის  
დევდნენ ელვინები და სულ-ბოლოს ამერიკელი: ისინი  
ასევე ჭლახქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილ-მამულებს,  
სადაც ბინადრობას სდებდნენ, დროით თუ სამუდამოდ,  
იმ სახელებს აძლევდნენ, რომელნიც ძველს ადგილებს  
მოაკონებდნენ. ამ გვარად სპირად მოხდებოდა, რომ  
ერთი და იგივე სახელი მოგზაურობდა ერთის მხრიდან  
მეორეში და მესამეში.

სულ ძველად გავიდნენ ზემო აზიიდან ხა-  
მიტნი და დაბინავდნენ ზოგნი სპარსეთის უურეს გა-  
რეშემო, ზოგნი ქალღეაში, ზოგნიც ნილოსის მდინა-  
რეზე. სამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000  
წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და  
პეკამტეში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ თურანელი:  
ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის სრდილო  
მხარე და მიჭმართა მცირე აზიას და ევროპას; დანაშ-  
თენმა ნაწილმა მიჭმართა სამსრეთისკენ, გადაიარა ინდო-  
ქუშის მთა და დასახლდა ინდოეთის სარკვრად — ატრო-  
პატენში (ადრბეიჯანი), არმენიაში და მცირე აზიაში.  
ამ დროს სემიტნი და არიელინი ბინადრობდნენ უკრ





ისევ თავის სამშობლოში: იმათ გამოუღობთ იქვე  
3000 წლით ქრისტეს წინაჲ. სეპიტნი მიტროპოლიტის  
თას მონათესავე სამიტების ნაკადს და დაუგაკმარებენ  
იმით, ბოდოს კი მძღავრეს და დაიმონხვეს ანუ ამოსწვევი-  
რეს ივინა ქადაგაში, ასსიარიაში, პალესტანაში და  
აარბასტანში. არაუღკოთ მონათესავეთა შორის შარკელნი  
შეიძინენ კელტნი: იმათი გზა იდო ეახშიის სამსრუთით  
საქართველოზე და აღბანიაზე (დაღესტანზე), შავი-  
ზღვის სრდილჲ მხარისკენ და დუხაით კერობისკენ;  
იარანიელნი გაემგზავნეს შოგნი ინდოეთისაკენ,  
შოგნი მიდიისაკენ და სპარსეთისაკენ და 2500  
წლით ქრისტეს წინაჲ მათ დაამსუკეს შარკელი ბაბა-  
ღანის იმპერიაჲ. ბოდოს გაკლდეულს კვალს გაქცენ  
უკრ გარმანიელნი, მსუგან ხლავიანნი. იმათ კაიხანი  
იბის:ღრეს სვეითებას მხარეში ვიდრე კერობისკენ გაი-  
წვედეს ტანისით, თირახით და ისტურით ქუესამდე.  
ეს უკანასკნელი მოძრობა უნდა მომხდარიყო შარკელს  
საუფლებაში ქრისტეს შობის წინ, არაღგანაც აღქმასდრე  
მაკედონელას დროს (356—324) მათ ეპერათ დიდი  
სიკრტე შავის ზღვიდამ მოვიდებულა რეინამდე და ბელ-  
ტის ზღვაამდე.



თავდა-პირველად ცხოვრების წარმოცობის კონსტრუქციას  
 ადგა ორი ქვეყანა: კავკასია და პაპილონი. ამ ქვეყნებში  
 დაბადდა სხელმწიფო წესი და სასახლეები. წესობა  
 დება; აღეზება სხვა და სხვა კვალი ხელოვნება და სწავ-  
 ლა-მცნაურება, რომელიც იქიდანვე გავრცელდა ასირია-  
 ში, ფინიკიაში, მედია-აზიაში და სხ. ესეც უნდა შევ-  
 ნიშნოთ, რომ ხელ ძველად იმართებოდა ორ-გვარი სამ-  
 წყნდო ნიშნებით: იეროგლიფური ანუ იდეოგრაფიუ-  
 ლი და ლურსმებრივი. პირველი შეადგენდა მსატ-  
 რობას, ესე იგი წარმოადგენდა იმ აზრებს ანუ სავსებს,  
 რომელთა წარმოადგენა ქსურდათ, მაგალითად ① ნიშნავდა  
 მზეს, ② მთვარეს. მეორეც თავისი ფორმით მიემსგავ-  
 სებოდა ასარს ანუ ღუწმინს, ამითვისავე ეწოდება იმ ს  
 ღუწმინებზეა წერა. ღუწმინებრივი ნიშნები წარმო-  
 ადგენდნენ მხოლოდ სიტყვის მარცვლებს, და არა ასოებს.  
 იეროგლიფურს ნიშნებს სმართდნენ კავკასიანნი,  
 ღუწმინურს პაპილონი - ასირიელნი, მიდიელნი და  
 სპარსელნი. ზოგა-ერთნი ამტკიცებენ, ვითამც ამ უკ-  
 სისხელების მომგონნი იყვნენ თურბულნი, რომელთაც ის  
 შემოუტყისათ სქობა-ზაიად პაპილონიში. სამწყნდო ნიშ-  
 ნებს წარმოცობის მაწერეს ქანახკელთ, ესე იგი ფაი-  
 კელთ, რომელნიც შემდეგ გადაიხახლესა პირველ ს



სამშობლოდ, ახვიანობის მოსაძოვებლად ებრუნებოდა. უკრ ხისდრძინებს სპარსეთის უფრეს კაფრებზე და შემდეგ დამკვიდრდნენ თვითონ სამუდამად. მისხველეთ სპარსზე, ებრუნებოდა კი მკობიარებაში. ფინიციელეთს გახვრდულეს ეს ნაშენი უკვლავს, სადაც კი ისინი, როგორც ზღვათ-მკვლანი, აღეს-მაგვობდნენ. ეს ნაშენი შედგენენ აღფრთხილს ანუ ჩვენებურად ანბანს, რომლის მქმნობითაც გამოიხატება უოკალიკი ასო, უბოთ თუ სხვანი 1).

აქ, ჩვენის აზრით, უაჯილო არ იქნება განვანდვითთ ის სხვათა, რომლითაც განვითარდნენ კვანძუტ და ბანდიონი და ამხთანავე ვუჩვენოთ ის ძალი, რომელაც ახლეს მტვირუბამ აღმოჩინა იმით გამოკვლევამ. და რის ამბობს ამ სავანზე ჩვენის დროის მიმართ თუ ების ასტორიკოსთაგანი, ფრანსუა ლეონარდინი. იტყვას ცივილიზაციის წარმომადგენელი ტომებში ამ ხანკვანის სავუქნის წილად უაღმატეულესად დანს-სამსოვან ხელსებედ მსადიდეს მოღონად ბერძნებს და რომელიეს არ ფიქრობდნენ, რომ ვარემი სავერძეთისა და იტალიის უოვილიაჟა სხვ. ვინმე დანსი ასტორიის უურად-

---

1) ამ სავანზე ახლად გრცელი და შექმნილი აღზრდის Alphabetum ვრანსუა ლეონარდინის.—Dictionnaire des antiquités Grecques et Romaines par Daremberg et Saglio, p. 108—2. 8.



ღებისა, თუცა იცოდნენ, რომ ამ სავრცეზედ, რომელ-  
 ლიც მდებარებს ნილოსსა და ინდუსს შორის, მდებარე-  
 ბულა იყო როგორათაც ფართო პანა ცივილიზაციისა,  
 აგრეთვე სახელმწიფოები ისეთის ხატატო ქალაქებით,  
 რომელნიც სავრცით გადაქმტებოდნენ ასლანდელს დედა-  
 ქალაქებს კროძისას და ისეთის სამეუფო მღატებით  
 ანუ სასსიდკებით, რომელნიც სამდადრით და შემკულო-  
 ბით არ დაუვარდებოდნენ ხეყის კოროლების სასსიდკებს.  
 იცოდნენ მოგზაურების შემწეობით, რომ აქ უდაბურა  
 ადგილები და მფინარების ნაპირები სავსეა დიდროვანის  
 სახურკვებით, ესე იგი ტაძრებით, შირაშადებით, სხვა და  
 სხვა კარის ძეგლებით და მათის უგნაურის წარწერებებით, —  
 ეს უკლავ იცოდნენ, მიგრამ იმათ თვალში მანინ უკრ  
 წყვდადით იყო გარკმობრული.

ახლას ხაქუე სხვა მდგომარეობაშია. პოლის დროს კრო-  
 ძის სიფლოპელობა და გავლენა თითქმის მოკლეს დედა-მიწა-  
 რე გავრცელდა. ეს შემთხვევა იყო მიზნა როგორათაც  
 სწავლის წარმატებისა საზოგადოდა, აგრეთვე ძველის და  
 უძველესის საოგენოების გამოკვლევებისა. უმარვლესის  
 დრო პის შესწავლა იწყეს ეგვიპტით. თავდა-პირველად  
 შ:მშ:აღიონმა (დიდის ნაპილეონის დროს) აგლავა ის

ფარდა, რომელიც ქვარავდა იეროგლიფურს შერეობას  
ეკვიპტოსს. მეგნიერებსა კარა ისტორიულის სე-  
უნჯისა. ნადოსის ვაკე-ღვლებს მთელს სპარსეთს  
მომადებულ იქნა ძველი ძეგლები და ამ ძეგლებსა ცხა-  
დად დაკანახეს მაქმედებანი ფარსონებისა, რომელნიც  
წვედიადის დროადაც ქმართავდნენ თავის ქვეყნას. ამ  
წვედიადიდამ გამოიკრიბნენ თითქმის 4000 წლის გან-  
მეღობის მეფონადნი ეკვიპტოსანი. ახლა ჩვენ ვიცით  
იმათის დროს ხელისუფლება საარსტატურო, სასკულბტუ-  
რო და სამხატვრო; ვიცით, რომ გარდა შირუტკით  
თავყანისცემისა იქ სუფევდა სამეგნიერო აღსარება, რომ-  
ელიც ქვეყნის შემოჭმედად ქსადიდა ერთ ღვთაებას. ახ-  
ლა ნათარგმნიან და ითარგმნება იმათი უმთავრესი ღი-  
ტურატურა, რომელიც თავისას აღჩაქსით მიემსგავსება  
ებრაულს სამღთო შერდობას. ერთის სიტყვით, ეკვი-  
პტოს დაიჭირა შესაფერი ადგილი მსოფლიო ისტორია-  
ში და ახლა ჩვენ შეგვიძლიან მოვუთხროთ მისი მატთანე  
მისსავე სამღვილსა და თანა-მედროე წუროებზე დაბუ-  
რებული, მოვუთხროთ ისე, როგორც აწინდელის დროც  
ყოფა-ცხოვრება.



„ასხირობის ისტორიის აღდგენა უფრო გასაოცრებელია, ვიდრე ისტორიის დასტურება და დასტურების დასაბუთება. როგორც ვთქვამდეთ, როგორც ვთქვამდეთ (ეგვიპტში), დიდ-დიდის წოდების ნაშთები. აქ მოგზაური პოულობის მოღვაწეობა-გონივრული გროვას ნანგრევებისას. ჰგონებდნენ, რომ სიუჟეტით დასაბუთებული უკველივე კვლევა შესაძლებელია ცივილიზაციის; მაგრამ, ხვანდა: სანუკეზოდ, სამს მუნ-ნაყრის, ბოტკის, ლეიარდის და ლოფთუსის სრული ხათვლი მოჭფინეს მშვენიერს სკულპტურას ქალაქის და ასხირობისას. იმათ პლატო სუჟეტებში ხორცა მის-სეს: ისინი წარმოგვიდგენენ ასხირო-ქალაქის შეფენის და იმათგან დატყვევებული ტომით. აქ ვხედავთ იმ პირთ, რომელთაც საზარელს თვისებებს ცხოველად გამოჭნატკენ ებრაელთ წინასწარ-მეტყველნი. აქ ვხედათ იმ ბჭებს, რომელთა ქვემოც, ერთის წინასწარმეტყველის თქმით, ტომთა გროვანი მიმდინარეობდნენ, როგორც ვთქვამდეთ. აი ის კერძებიც, მშვენიერის ხელოვნებისა, რომელნიც იზი-დავდნენ და აცდენდნენ იულოვას აღმსარებელს ასხილს. აი თვით ურთა-ცხოვრება ასხიროელებისა, მრავალ სურათებად წარმოგვიჩინა: იმათი სასულიერო ცერემონიები, იმათი შინაური სუულებები, იმათი სახლის მორ-

თუღობა და ძვირფასი ვაჭრები; აი იმათი დასაქმებულნი,  
 ციხე-სიმაგრეების იერიში და ზღუდე-კლდეების დაშორ-  
 ღვედა მამისები.

სიხელოვნობა

„მრავლად ბაბილონი-ახსირობის შერობა, რომელე-  
 ბიც კი ამოთხრილთა მიწის გულად, შეიკუდია მრავალ-  
 გვარის წარწერებთ. არ ეგონათ, რომ ეს მწერ-  
 ღობა, უცნაურის თვისებებსა, ოდესმე გამოკვლევულყო;  
 მაგრამ იმასაც სძლია ახლანდელმა მეტადმა მეცნიერებო-  
 სამ. ღუძსმკობრივის მწერლობის გამოძიებას შეუდ-  
 გენ ანგლისელი რეკლამისონი, ნეპოცი ჭინკი და ფრან-  
 ციელი ობშერტი და ახლა სკენ იმათის შემწეობით კითხ-  
 ულობთ ჯდჯო-ახსირობის სრინიკებს, რომელნიც წარ-  
 წერილი არიან მარმარილოებზე და შედუღებულის გარის  
 ფიგურებზე და რომელნიც შეიგვეს მათიერვე ნაამბობს  
 ვრცელს მოთხრობაებს იმათ კალაშქრებაზე და კვანების  
 დაშვრობაზე, აგრეთვე მათს უღმობედს სხვათაზე.  
 ზოგიერთი ეს მწერლობა შეესება იმ შემთხვევათაც, რომელ-  
 თაც მოისხენებს ბიბლია და იმათი შეთანახმობრე-  
 ბა ნამდვილ გვიმტყინებს უპაველს შემშობრტებას სხმლოთ  
 ისტორიისს. ახსირო-ბაბილონის დროს შესწავლამ მოჭ-  
 ფანა სხვი თვით ცივილიზაციის დასაწყისს და იმის

მიმდინარეობას. შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარის ბრძან-  
 კალე კულტურის სამუდამოდ შემწყვეტულიყო, მაის სე-  
 ზღვრებში მართლა და ცხადია, რომ მისი სწავლის  
 ღონისძიებები მიჭიროდია მათის სამხედრო მსჯელობის კვლს  
 და გავრცელებულა აღმოსავლეთად და ჩრდილოეთად, მი-  
 დიაში და სპარსეთში, სადაც მუსთაისკმათ ირანელებს  
 ასეშენილებს დროს. ამას წინადა საბერძნეთის ხელოვნე-  
 ბის წყაროდ მიანხდათ კვიპტო; მაგრამ არა: ასღა ამ  
 წყაროდ უნდა ვხედავთ ნინეას, ბაბილონო-ახსიარიის გუ-  
 ღენა მოჭყენია სირიას, მცირე აზიას და საშუალო-  
 ზღვის კუნძულებს; ბერძნების ქალაქბადაძ, რომელნიც  
 შავი-ზღვის პირად ჭყვარდენ, ის შესულა თვით ელდი-  
 ნის ტომის სამფლობელოში, და ამ გვარად საბერძნე-  
 თის სკულპტორებს მაგალითად და ნიმუშად ქქონათ  
 ბაბილონო-ახსიარიელთ ნაწარმოები. მცირე აზიიდან ეს  
 ხელოვნება ღიდიის მცხოვრებთ შეუტანათ იტალიაში,  
 სადაც მას დაუდგია საფუძველი ეტრურიის ცივილიზა-  
 ციისა, რომელზედაც შემდეგ აშენებულა რომის დიდუ-  
 ღა 1).“

1) Lenorm., Man. d' Hist., I, I—XVI.



ზემოდ მოვიხსენეთ მცირე აზია. ეს მხარე ძველად  
ისე უიწოდებოდა დაკავშირებული კაკაზზე და თუ ვინაა სწორად  
ქართულად, რომ აქ საჭიროა იმას თქვან კანკალად  
ლოთ. მცირე აზია, რომელიც ახლა საზოგადოდ ცნო-  
ბილია ანატოლიად, მე-X საუკუნის შერდის კონ-  
ტანტინე პორფიროგენეტის თქმით—ანატოლიის თუ-  
მად, le thème anatolique (Vivien de Saint-  
Martin, Nouveau Dictionnaire de Géographie  
Universelle, 1877, p 133.), შეადგენს ნახევარ კუნ-  
ძულს და თითქმის ჩვენ საზღვრად მდებარებს. სამის  
მხრით ის შემოზღუდულია საშუალო-ქვეყნის ზღვით,  
კვიის ზღვით ანუ არსიპულაგით, პრამონტიდით ანუ  
მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვით.  
დასამთენის მხრით იმას უძვეს ხმელეთი: ნაწილი სომ-  
ხეთისა ეფრატის სათავეებში და მესხეთის მთა. მცირე  
აზია იყოფა თავრს-აქეთ აზიად და თავრს-იქით აზიად.  
თავრის მთა მესხეთის მთის შუამკვლობით უერთდება  
თვით ჩვენ კაკაზს და მოელს საერთოზე მოყვნილია,  
როგორმათაგ უკვლავ ადგილები მცირე აზიისა, ვულკანუ-  
ბით, რომელნიც გამოწმობენ, რომ ის ცენტრის მოქმედუ-  
ბით არის ამოსკთილი დედა-მინის გუბიად. მცირე



აზიას ბუნების თვისებით, ქაჩათ და სუოთვიურებათ და-  
 დად მიემსგავსება კავკასიის მხარეებს. შესწავლისთვის  
 მდინარეთაგანნი არიან: უმთავრესი სიდიდით და სიგრძე-  
 რიუდის მნიშვნელობით ქალისი ანუ ახლანდელი უიზიდ-  
 ირმაქა, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მცირე  
 აზიაში ძველადვე დამკარებულა ორ-გვარი შთამომავლო-  
 ბა. ერთს შეადგენდა სემიტური გვარი, მეორეს არიელი  
 გვარი. სემიტნი დაბინაკებულან ჩრდილო-დასავლეთის  
 მხარეში; არიელნი კი აღმოსავლეთ-სამხრეთად.

აქ მოვისხებეთ მხოლოდ იმ ტომებს, რომელნიც  
 ჩვენ ტომთან მცირედ თუ მეტად დამოკიდებულნი უო-  
 თილან.

სემიტები ანუ უკედ ვოჭვათ, არამიელები იქ  
 ადგილ-ადგილ გაცხდტაკვეულნი იუენენ, ადგილ-ად-  
 გილ კი შეერთებულნი. სახელა ა რ ა მ ი, ა რ ა მ ი ე ლ ი  
 წარმომდგარა ებრაულის ა რ ა მ-ი დამ, რომელიც წინამსავე  
 მოას, მთიანს ადგილს. არამი უცკელეს დროსვე მისთია-  
 სებია მცირე-აზიის აღმოსავლეთ ნაწილს და სამუდოო  
 ქვეყნის ზღვის მოსაზღვრე თემებს ეფრატამდე და ტიგ-  
 რამდე. მცირე აზიის არამიელებში დარს-სახსოვარნი  
 არიან: კამბოდოკიელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის



ბინად, მთა ადგილებში და საშუალო ეფორტისა და ტიბ-  
 რისა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკუნეში, რომელიც  
 კიელებში დაამყარა თავისი უფლება და ენა მათთვის  
 მონათესავე ტომის სირიელებმა. ეს ენა აღექვანდრე მა-  
 კდონის შემდეგ განდევნა იქიდან ბერძნულმა ენამ.  
 შემდეგ ამ მხარეს უწოდდნენ: სპარსები კამბადოკიად  
 რომელები კი ზღვის ბინ-მხარის მონტის კამბადოკიად.  
 მუარე სასელოვანს აჩამუღს ტომს მცირე აზიისას  
 შედგენდნენ კილიკიელები, რომელთაც კამბადოკიის  
 მხრივ თავრივე ქსაზღვრავდა და ახსირიელთ ბძინებლო-  
 ბას ქვეშ ირავდა ეს ტომი ერთი თემად იყო შეერთებუ-  
 ლი. ახლა კილიკიაში უმოკრესობს სომხური ენა, რომ-  
 ელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მე-X საუკ. გავრცელ-  
 და. მესამე შესანიშნავ ტომად ირავებოდნენ კარიელნი,  
 რომელნიც ბინადრობდნენ სამხრეთად მცირე აზიაში. კა-  
 რია ძველად იწოდებოდა ფინიკად. თვით კარიელების  
 ერთ ნაწილში ფინიკიელი ენა იყო გავრცელებული. სა-  
 ზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მცირე აზიაში ფინიკიელებმა  
 თავისი კვალი სხვა და სხვა მხარეში დასტოვეს: ნაწილი  
 ლიზიის იწოდებოდა ფინიკად. როდონი და სხვა სა-  
 შუალო-ქვეყნის ზღვის კუნძულები იმათგან იყო კო-




ღონიერად დაფუძნებული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ცნობები ამ ადგილებზე, სადაც ფრინველებს მსვლელობა და ალებ-მიცემობა ქქონიათ, იმათგანვე შეკრებილი.

არაერთ ტომთ რიცხვში მიზიელებს და ღიზიელებს ეპურათ სრდილო-აღმოსავლეთი მხარე. სტრახონი ორსავე ამ ტომს ქსადის ფრიგიელებად. საზოგადო წყულებისამებრ ფრიგიელის ტომისა იმათ ქქონდათ საერთო ტაძრები. პირველად იმათ მხარეშივე დაურქო ერთ ადგილს აზია, რომელიც იქიდანმ ჟერ მთელს ანატოლიას მიეთვისა, მასუკან მთელს აზიას. თვით ფრიგიელებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ მთელს მცირე აზიაში ისინი უფრო მომეტებულად იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე დანაშთენნი ტომნი. ფრიგიელები იყვნენ გაბნეულნი მცირე აზიის შუა-ადგილებში ჭაღისის მდინარემდე და სახლობდნენ მჭიდროდ. იმათისავე ერთ ჭმონმობერ მათს ინდო-ევროპიულს შთამომავლობას: ამ ენის სიტყვები და გრამმატიკული აგებულობა მოგვაგონებენ ელვინურს, ძველ ლათინურს, ტეტრანურს და სხ. ფრიგიელები განვითარებულან განათლების წარმატებით. სანგარიოსის სათავეებში უჩვე-

ნებენ ძველს სასაფლაოებს და სხვა და სხვა კვანძებს  
ლებს ფრიგიელის წარწერებით, თვით იმპერატორის  
რომელიც ახლა თითქმის გარკვეულია, კლდის უფრო ად-  
რეტიკს ემსგავსება \*). ფრიგიელების მონათესავედ ირიტ-  
ხებიან სომეხნი. ამის საბუთად მოჭეკათ ჰეროდოტე,  
რომლის თქმითაც სომეხნი ფრიგიის კოლონიას შედ-  
გენდნენ \*). სომეხის ენაზე ახალმა გამოკვლევამ დას-  
ლო შემდეგი დასკვნა. მისი საძიარკველი და გრამმატიკა  
ცხადად გვიჩვენებს მისს ხათესაგურს კავშირს ზენდურს  
ენასთან, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ  
მრავალ-გვარი კვლით იმისს ლექსიკონში როგორათაც  
სემიტურის ენისა, აგრეთვე ტურანულისა. მიზეზი ცხა-  
დაა: დროთა განსვლიანობაში სომეხებზე უმოქმედნა ის-  
ტორიულ გავლენას სემიტებისას და ტურანულებისას და  
ამისათვის შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენას არ დაე-

\*) Maspero, Histoire ancienne des peuples  
de l'Orient, Paris, 1876, p. 239—240, 604.

\*) P. Giquet, Histoire d'Herodote, Paris,  
1870, VII, 406.

ტოკებისა თავისი კვალი იმათ ენაში <sup>10)</sup>.  თვით სხუელ-  
 წოდება სომხებისა არ მქონა, არ მქონდა, წარმოდგე-  
 რაა არა მ-ივამ, რომელიც ზევით მოვხსენივთ. ამტკიც-  
 ებენ, რომ ვიდრე სომხები დაეპარებოდნენ ახლანდელს  
 არმენიაში, ეს სახელი რქმევია იმ ტომს, რომელიც მათ  
 წინად იქ სახლებულა და ამ უკანასკნელის სახელწოდება  
 მიუთვინებიათ იმათაც <sup>11)</sup>.

რად თქმა უნდა, რომ მცირე აზიის უკვლავ ტო-  
 მებში უმთავრესს ტომად უნდა ითვლებოდნენ ჰელაზგე-  
 ბი. მართლია, ეს სახელი ძველადვე ამოიგვეთა, მაგრამ  
 მათი მიტოლოგიური გარდამოცემა მათ შთამომავალ-ტომ-  
 ში ელდისებში დაიწა. ზოგიერთნი ამტკიცებენ, ვითომც  
 ჰელაზგებს ზემო აზიადამ უნალზე გამოეკლათ და ვი-  
 თომც ჰირველი ბ.ნ.დრობა იმათ დაედვათ სვენის კე-  
 კასის ნრდილო-მხარეში. ჰელაზგების მიფი ანუ ზღა-

<sup>10)</sup> Momsen, Histoire romaine, trad. franç., 1866, V, 263 — Vivien de Saint-Mart. Nouveau Diction. de Géogr. Univer., p. 215.

<sup>11)</sup> Victor Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, Paris, 1867, I, 22 n. 1.



ზარ-თქმულესა მათ წინაშარად უჩვენებს იაფურს, რომელ-  
 ლიც კაკაზში თურმე ცხოვრობდა. ყაფიერადაა — და  
 აზიის შვილი პრომეთე კაკაზის ქედზე თურმეცხოვრობდა  
 თიღა მამსკვალულა. აქვე ცხოვრობდა პრომეთეს შვი-  
 ლა და კლდეზის მამა დეკკალიონი. ვიდრე ჰელაზტები  
 ევროპში მიიკრიბებოდნენ, იმათი მოგზაურობა უფრო  
 მონტის ზღვის სრდილოეთად ყოფილა; ნაწილი მათი კა-  
 დაბინაკებულა მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილებში  
 დასაკლეთის მხრით. ჰელაზტების მიჰი წარმოგვიდგეს  
 ყოფა-ცხოვრებას და მოღვაწეობას ძველის გმირებისას,  
 ჰელდეროფონისას, თესეისას, ჭერეულესისას და არგო-  
 ნაეტებისას. ამ მიჰში მოხსენებულნი დირს-სახსოვარნი  
 არიან ამაზონები. მიჰი გვიჩვენებს იმათ მეომარ დედა-  
 კაცებად, რომელნიც თურმოღონის მთა-ღელეებში თურმე  
 მკვიდრობდნენ და რომელთაც ქქონდათ სა'ი ჭილაქი: თე-  
 მის-ყურა, ღაკასტია და ხადესია. იმათგანვე თურმეა და-  
 ფუძიებული ეფესი თავისის ტაძრით, ეუშესი და სმირნა.  
 ზოგნი მკენიერნი აქირობენ, ვითომც ამაზონები შეად-  
 გენდნენ ინდო-ევროპიულს სკვითებს, ვითომც იმათ კაკ-  
 კაზი გამოკლდით და მცირე აზიაში დაბინაკებულდოყვნენ,  
 ვითომც ცხენოსნობაში და შეიღდ ისრის ხმარებაში ღიად



დახლოვნებულნი ვოფიდაუკენ, ლ. შქრობში თავიანთ  
ქმრებს არა ჭმობდებოდნენ და ვითომც აქედამიწიდან  
დგა ზემოდ მოუყვანილი თქმულება ამასთანვე (12).

იმ სივრცეზე, რომელზედაც, მიტის თქმულებით,  
გაბნეულნი იყვნენ ამასონები და თვით მათ მკობე-  
ლად მკვადრობდნენ: ტიბარენნი, მაკრონნი, მოსხნი და  
კოლხნი. რადგანაც ამ ხალხებს თითქმის საზოგადოდ  
ჭართველ ტომად ჭსადიან, ამისთვის აქ უნდა მკითხველს  
გუჩქნოთ თუ რას მოგკითხრობენ იმათზე უჩვეულის  
დროს უცხო-ტომთ თქმულებანი და რა აზრს მიაწერენ  
ამ თქმულებებს სკენს დროში. აქ უნდა ვთქვათ, რომ  
ძველის ცნობების შემწეობით ახლა ვადვილად გვიჩვენებს ის-  
ტორიულ ატლასებს უჩვეულს ნათესავთ გეოგრაფიულს  
მდებარეობაზე. ამ ატლასებში ხსენებულნი ტომნიც არ  
არიან დავიწყებულნი. ამ გვარი ატლასები სკენ ორი  
გვარს ხელად: ერთი კეუთუნის ფრანსუა ლენორძინს, არ-  
ხეოლოგიის პროფესორს შარაეში, მეორე მასპეროს,  
პროფესორსავე ეგვიპტის ენისას და არხეოლოგიისას

12) Viv. des.—Mart. Histoire des découvertes géographiques, Paris, 1845, II, 157—250.





Collège de France-ში. პირველი შედგენს დამატებს  
 ლენორმანის პრომისს Manuel d'Histoire ancienne  
 ne de l'Orient, რომელიც გამოიცა 1813 წელს და  
 თვით შეიცავს XXIV კარტას. მეორე კვლავი, შემდგო-  
 რი ცხრა კარტით, ჩართულია მასშერისაკე ისტორიაში  
 Histoire ancienne des peuples de l'Orient. ორივე  
 კვლავი ერთ-გვარ წყაროებსზეა აშენებული და ერთი მეო-  
 რის ეთანხმება. იმათში უფრო სრულია ლენორმანის  
 „Atlas d'Histoire ancienne de l'Orient anterieu-  
 rement aux guerres médiques.“ ამას გარდა ამ შრო-  
 მაში ავტორი თვითთულის კარტის წყაროებსაც უჩვენებს  
 და აღნიშნავს გზებს, რომლითაც ძველ ტომებს  
 ქონათა მსვლელობა წყნის ხაზის გასარკვევად საჭი-  
 როდ ვრაცს. აქ ზოგიერთი ცნობები გამოკვრიბონ  
 ლენორმანის კვლავიდან.

პირველი კარტა წარმოგვიდგენს ევროპას, აზიას და  
 აფრიკას იმ დროს, როდესაც ქვიშის პირს ჯერ აწინდელი  
 გეოლოგიური მდგომარეობა არა ქონათ მიღებული. ეს  
 კარტა, დაფუძნებული გეოლოგიურს ცნობებზე, აშთებს  
 ლენორმანს, გამოკვებისტავს ევროპას, აზიას და აფრი-  
 კას მასზე, როდესაც პირველად აღმოჩენილა ადამიანის

კვალი დედა-მიწის გულში. საქარის ზღვა, კავკასიანელებში გერმანიისა ვერ ისევ ოკეანით არის გარეშდებული. დადი ბახსიანი (მთა-ღელეები) არაღა-განზნინა და შავი ზღვა შეკრებულნი არიან; სთავეები უმთავრესის მდინარეებისა არ შედგენილან; ევროპა და ამერიკა ერთიმეორესთან არიან გადაბმულნი... ამკე კარტაზუა მოხაზული თვით ის აფგილები, სადაც ძველი გარდამოცემა უწყნებს სხვა და სხვა ტომთ შირველ აფგილ-მამულს.

მეორე კარტა შეესება იმ დროს, როდესაც, ძველისავე თქმულებით, ევროპა, წინა-აზია და ჩრდილო-აფრიკა მოიფინენ ადამიანით; როდესაც არიული ვერ ისევ ოქსუსის მთა-ღელეებში მკვიდრობდნენ; როდესაც ხ.მიტებს და თურანელებს ებრათ სხვა და სხვა მხარე, შექვევ არიის ხათ, ახან დაჭერილი; როდესაც სემიტები ვერ არ იყვნენ სამხრეთს არაბეთში და როდესაც კავკასიის უძველესი ძეგლები გაიყენებენ მოშავო მოდგმას, კატარაეტებმდე გავრცელებულს. შავი ზღვა და კასპიის ზღვა იმ მდგომარეობაში იყვნენ, რა მდგომარეობაშიაგ ახლა არიან. ჩრდილო და სამხრეთი მხარეები გუგარისა ვერ დასახლებულნი არ იყვნენ. ამ დროს უზგუბები 2500 წლის წინათ ქრისტეს მოხამდე.



მესამე კარტა შეიცავს კონოგრაფიას დაბადების (მე-X თავი: ნოეს შთამომავლობა). აქ მხედველს უძებრია მთელი ის სივრცე, რომელიც მიჭვენილია მსხვილად და პირს ქალისის მდინარით ვიდრე თობულის საზღვრამდე. თობულის უჭირავს აღმოსავლეთი პირი იმავე ზღვისა და ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რასს ანუ არაქს შუა მდებარებენ. მოსახლის მოსაზღვრეა აგრეთვე თორღამა და ამის სამეფო აბელთს შეადგენს ტიგრის სათავე და არაქსის მარჯვენა მხარე. თუმცა ამ კარტის საფუძვლად ღებარებინა უზენებს მხოლოდ მე-X თავს „დაბადებისას“, რომელიც მოსეს შეუდგენია მე-XVI ს. უკ. ქრისტეს წინ, (მუხლი 2 და 3: ძენი იაფეთისნი დამურ და მაგოც, და მადამი, და იოაკან, და თობულ და მოსოს, და თირას და ძენი დამურისნი ასქანაზ და რიფათ და თორღამა), მაგრამ იმისვე წყაროდ უნდა მიგვაჩნდეს აგრეთვე წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი (მე-VI ს. უკ. უკ. იხილეთ თავი XXVII. მუს 14; XXXVIII, 3; XXXIX, 1.

მეშვიდე კარტა ანუ ეგვიპტის გეოგრაფია თუთმეს მე-III-ს დროს (1600 წ.) გაგვაჩნობს რომენკლატურას (სახელებს) თემებისას, რომელიც ამოიკითხვის იეროგლიფურს მწერლობაში ამუშავებული დაბადების



მოსხი, და რემენე ანუ ანძენა.\* რუსთვე ამ ნათესავს  
 აქაც იგივე გეოგრაფიული მდებარება აქვს, როგორც წინა  
 კარტაში. აქ, ლენორძინის აზრით, მუშაზე შეადგენს  
 მოთეთროს ნათესავს (არიელებს), რემენე კი მოშავო ფერს  
 ნათესავს (ედიოპედნია, ეუშიტნი და ნეკრნი) და, რო-  
 გორც სწინს ლენორძინის ფაქტით, რემენების მხარე ძვე-  
 ლად ვერ ისევ სემიტის გვარს უჭირავს და არა არიელ  
 ტომს ანუ ფრიგიელების მონათესავე სომხებს.

მეთერთმეტე კარტა მოჭხაზავს გეოგრაფიას ას-  
 სიარიის ძეგლებისას. ამ კარტის ნომენკლატურაგ ის არის,  
 როგორც გამოსთქვავდნენ ასსიარიელები. აქ ნახვენებია  
 სამარიგი ხაზღუბები ასსიარიისა: ა) ბინდიუსისა და სა-  
 მურამათის დროს (905—828), ნინევიის პირველ დარ-  
 ლეკვამდე; ბ) თიგლათფალახარ მე-II დროს (780—821),  
 როდესაც დაფუძნდა უფრო მჭიდროდ ვიდრე წინათ,  
 მეორე მონარხია ნინევიისა; გ) ესარ-ქლადბონის დროს  
 (681—617). როდესაც სარგონიდების მონარხია აღვი-  
 და უმაღლესს წრეზე. ამ კარტაზე: შვი-ზღვის სამ-  
 სრეთით თაბღი, თაბღს შემდეგ მახსაკი, რომელსაც  
 უჭირავს ჭაროხის მთა-ღელეკები, შემდეგ მუსკაია, სა-  
 დც :ხლა ქარი ღ-კახეთია; კიმირრა (კიმირნი), კაკასის

ქალთებში საქართველოს მხრით; იღვწის ილიბის მთებში (Illibi, Illipi ომბერტის გამოკვლევათა კრების აღბანია ანუ შებდეკ დელისტანი, Maspero, Hist., 447 n 1); ურარტი იწოდება იქ, სადაც ეფრატის და ტიგრის ერთდებთან (Ourarti, Ararti არის არარტი დაბადებასა და აღაროდანია ქრონოლოგია (VII.407—Maspero, Hist., 399 n. 2). ახლა ზოგიერთნი ევროპის არსეოლოგნი, იმათ შორის დენორმანი. ამტკიცებენ, ვითომც აღაროდანნი იყვნენ ქართველნი, რადგანაც აღაროდანების ეს დურსმხებრივს წარწერებში გარეშე ვანისა წარმოგვიდგენს ქართულის ენის ფორმებს, Lenorm., Lettres Assyriologiques. 1-re série, I, 124—129.

მეცამეტე კარტა გვჩვენებს იმ სივრცეს, რომელიც უბუნია ორს მონაწილას ქალდეო-მიდიისას ნახუნოდორსისორის (ნახუქადონოსორის) დროს (604—561). აქ მიდიელთ და ზრიახელთ (არაანა) თემების ნომენკლატურა გამოწერილია ბუდისტუნიის წარწერადაც; ქალდეელის თემებისა კი ასხირიისა და ბაბილონიის მწერლობიდაც. აქ ტიბარენია, ეს უკანასკნელი ტომი დასავლეთის მხრივ, კარტა წინ არის წარწეული ქალხისის მარ-



ვესა შირიდაშ. იმასნი მოსაზღვრენი თაჲრის მოსინეკენ  
არაიან ხაღისნი. ტიბარენებს წინ არაიან <sup>სტრეპტონიშვილი</sup>  
მოსინეკია, მაკრონნი, მოშიანნი და კოღხნი. იბერნი და  
აღბანელნი ცხოვრობენ იქვე, სადაც ამას წინად მო-  
ვისსენეთ. არმენია შეიცავს ეფრატისა და ტიგრის  
სათავეებს.

მეჩვიდმეტე კარტა წარმოადგენს სპარსეთის იმ-  
პერიას დაწარმის მეფობაში, ოც სასატრაპოდ დაუო-  
ფილს (521--490). ეს კარტა ამენუბულია ჭეროდო-  
ტის თქმულებაზე, მაშასადამე მისი ნომენკლატურა  
ეკეთუნის კლასიკურს გეოგრაფიას. აქ იმ სიკრ-  
ტაზე, რომელიც მდებარებს ქაღისის მარჯვენა ნაპირსა  
და ტიბარენების საზღვარს შორის, ახლა უჭირავს მონ-  
ტის კაპშადოკიას. აქ ტიბარენნი, მოსინეკია, მაკრონნი,  
მოშიანნი, კოღხნი, იბერნი, აღბანნი, ისე ისე არაიან  
ნახევენება, როგორათაც ამას წინად. საღიბებს უჭი-  
რავთ ქაღისის სათავე, ბასიანებს ეფრატის მდინარის  
სათავე და მათ შემდეგ ამ მდინარეს მახდევან აღარო-  
დაინნი.



ჩვენის აზრით, სსენებულთ ტომთ უცხო-ტომთა  
 ადგილები და ერთი მეორის საზღვარი უნდა  
 იყოს. ჩვენ ამასაც ვფიქრობთ, რომ უცხო-ტომთა  
 ცნობები ერთსა და იმავე ტომს სსვა და სსვა სახელს  
 აძლევენ და ამ რიგად იმათ წარმოგიდგენენ სსვა და  
 სსვა ტომებს. ამ გვარ შეგდომის უცხო-ტომთ მხრივ  
 ხშირად ვხვდებით ძველ დროშიაც და შემდეგაც. ის ვი  
 ვქვ ვარეთ უნდა გვქონდეს, რომ სსენებულთ ხალხთ  
 სამდვილად ქსტერიათ თითქმის მთელა სივრცე ქალისის  
 მდინარეიდან მოყოლებული ვადრეკაკაზის მთამდე. ამაში  
 იმიტომ არ უნდა ვაჭუნეულობდეთ, რომ, როგორათაც  
 სსვა და სსვა გვარი გამოველვა ქმოწმობს, კვიპტელნი,  
 ქალდეო-ასსირიელნი და ებრაელნი იმათთან თურმე დაი-  
 რქობდნენ და აღუბ-მიცემობდნენ, იმათის მადნებით სარ-  
 გებლობდნენ და იმათ ქალ-ვაყებს სსვაჭროდ ეტანებო-  
 დნენ; მაშასადამე დიად ვარგად იცოდნენ მდებარება იმა-  
 თის ქვეყნისა.

თუ ჩვენ აქ მხედველობაში ვაჭრნიებთ იმ გახო-  
 ცარს ვამთა სივრცეს, რომლის მომდინარეობაშიაც მათ  
 უცხო ტომთა სსენებულთ ადგილებში უჩვენებენ და თუ  
 ამასთანავე იმათ ქართულ ტომად ვადვიარებთ, მაშინ



ზემოსხსენებულა უცხო-ტომთ ცნობები ძველ-ფას ქართულ-  
 ბად უნდა მიგვიჩვენდეს. ასეა იმათ ქართულ-ქვემო-ქვე-  
 ლობაში თითქმის არ გვხვულობენ. ეს სწავლანი უნდა  
 დეულია რამდენთამე სწავლულთაგან, მაგრამ იმათ შორის  
 ისე საფუძვლიანათ არავის არ გამოუცვლევია, როგორც  
 ფრანგურს დიუბუა დე მონბერეს, რომლის მოგზაურო-  
 ბა Voyage autour du Caucase გამოიცა ეჭვს წიგ-  
 ნად პარიჟში 1839—1843 წ. თუმცა დიუბუას დროს  
 ასედა არსეოლოგია ჟურნალ არ არსებობდა, მაგრამ ამ  
 ეკრობიელმა, განვითარებულმა მეცნიერების მრავალ შტო-  
 ებში, სხვა და სხვა ტომთ მიტოლვიერისა და ისტო-  
 რიულის ცნობების შედარებით ისე გამოიძია დასკვნილი  
 სჯგანი, რომ აწინდელს არსეოლოგიურს გამოძიებას ჟუ-  
 რნალ იმაზე წინ არ წაუდგავს ფეხი. ესეც უნდა ვთქვათ,  
 რომ დიუბუას „მოგზაურობა“ აქამომდე მიუღეს ევ-  
 რობაში მიღებულია უკეთესს სახელმძღვანელოდ საზო-  
 კადოდ ვაგვიჩვენე. აი რას ამბობს დიუბუა როდესაც  
 ის აგვიჩვენს საქართველოს სომხეთის მადრებს:

„რკინა ითხრება აქ პოდნისში, ასტალიში, ვარდა-  
 შერდში, კარაგლისში, უელფში და სხვ. უელფის მადანი  
 ცნობილია ძველადვე და მე ეჭვი არა მაქვს, რომ უელფი





უნდა იყოს ხალიბი ჭომერის, ჭეროდორის და სტრამონისა; რამდენჯერმე შემინიშნავს კიდეც თუ როგორ იყო განთავსებული საქართველო თავისის რეინით და სმილენშია და მცხეთა ღება დაჭეშმარიტებით ითქვას, რომ თობელი, ანუ თუბელი „დაბადების“ ქნიშნავს ახლანდელს საქართველოს; იოსებ ფლავიოსი იბერიად სთარგმნის იმ ძველ სახელს, რომელსაც ბერძენნი მასთვისებდნენ ქართველებს.

ზოგან, თობელ და მოხოს ვაჭარ შენდა, რომელთა აზრადღეს ალებ-მიცემობა თვისი ვაჭრობითა ვაცთაათა და ჭურჭლითა რკალისათა“ (რვალი სმილენისი), იტყვის ეზეკიელი ქალქის ტირის ალებ-მიცემობის მშვენიერს აღწერაში (თავი, XXVII. მუხლა 13) <sup>13)</sup>.

შინატი სმილენი არ უთავიდა სავსად ალებ-მიცემისა, რომელიც ამდღარებდა თობელის ვაჭრობას. სუ

<sup>13)</sup> ეს მუხლა ითქმის ებრა-ეგვიპტის ლავიანთაგ უბრძულ-წყლის ბაღაში, აგრეთვე ხმტკუნში და ლათიურში. შინალოც ამ უგანსეულში ავგანის მიკელს ამბობენ Graecia; ქართულ ბაღაში კი მეცხელია ასე, ლავიანთ სლავიანურში. ქართულში: ეგლიდაც უთველი და განმგზავბელსა მისი, ვაჭრობელს მეს შინის ხელებსა ვაჭრისა, და ჭურჭელსა ლავიანსა მისცეს სავაჭროდ მუხლა. სლავიანურში: «Влада вся, и ближнии твои продаяху въ тебѣ души человекъ: и сосуды мѣдны даша куплю твою.»



თუ თობელს არ წამოგვიდგენს ძველის-ძველად დასა-  
დებს:“ ხოლო სულაჲ შუაჲ თობელს: ესე თუ გვერდო  
ხუროჲ მსკდელი რვაღისა და რვინისა?“ (IV, 22).

„აჲ, სადაც ებრაელნი უწევნებენ თაჲიანთს თობელს,  
ბერძენთა ქმოვებენ ხაღბებეს, რომელთ სახელი ქნიშნავ-  
და იყოღადს და თვით ხაღხს, რვინეულობის ჭედის  
მგოდნეს.

„თავდა შირველად ამ საგანს შეეხება ქომერა. ის  
ამბობს ილიადის შორე თავში:“ ოდიოსი და ახოვანი  
ეპისტროფუსი წინამღროსბენ ქალიზონის მხედრობას,  
მომავალს შორი-ჭკეუნით ქალიბით, სადაც კერცხლი იმო-  
ვება.“ შემდეგ ქომერისა სხვა მწერლებიც ხშირად მოიხ-  
სენებენ ხაღბების რვინას. სტრაბონი, განმარტავს რა  
ზემად მოყვანილს სიტევას ქომერისას, არღვეეს იმ მწე-  
რადთ აზრს, რომელნიც ხაღბებეს ასახლებენ მგირე  
აზიის წინა ადგილებში; თვით სტრაბონი იმათ უწევნებს  
სომხეთში. მართლადაც, ეულფა (კოდფა) არის სომ-  
ხური სიტევა და მე ვიცი სომხეთში სამი ადგილი, სა-  
სულ-დებულა ეულფად და სძნივე იგინი განიჭმულნი  
ყოფილან მადნებით. ერთი მათგანიჲ ურსის ფაშალიკში;  
მეორე, რომელიც მე განვიხილვე, დიდ-არმენიაშია, მაგ-



რამ ორსავე ამ უუღოში ითხრება მხოლოდ მარტინი. მუსაქეს შუადგენს ის უუღო, რომელიც რეანის მდინარის მდინარე და რომლის სახელით ორი-ათნის წლის წინაჲ იგულისხმებოდა ერთი გუგარის უმთავრესთა თემთაგანა, ესე იგი ხუბა უუღოთა, ანუ გოდუფორისა. იმ დროს ეს უუღო შუადგენდა არმენიის ნაწილს (Saint-Martin, Mémoires sur l' Arménie, II, 367).

ახლა თუ თქვენ დარწმუნდით, რომ უუღოთა ძველი ხალიბი, მამ ისიც ცხადი უნდა იყოს თქვენივე, თუ რისთვის უწოდეს ქომური ქალიხოსებად უუღოთად მომავალს მხედრობას: გადით მტკვარს, რომელიც შირისში უუღოთა მიმდინარებს, და თქვენ შესვლით მშვენიერს დახნის ხუბაში, რომლის სახელი ისე ძველია, როგორც თვით ქართული ერი (Strabon, livre XI, p. 382).

ახლა კიდევაც წარმოგიდგენს ერთს ადგილს, რომელმაც ხუბი უწოდებდა მთქვია და რომელიც ცხადად გაიმტკიცებს, რომ უუღო, გოდუფო, თობელი და მოსოხი ერთი და იგივეა. ესეკიელის წიგნში ვითხულობთ: „ესე კაცისათა განამტკიცე შირი შენი გოგსა



ზედა, და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსსა,  
მოსოხს და თობულსა, და წელე მის ზედა (XXXVIII და  
XXXIX)<sup>14</sup>. თუ მკითხნოთ, რა მსგავსება აქვთ ერთმანეთში  
ეულფსა და გოდფსა, მე გეტყვით ამაზე: ეულფი ით-  
ქმის ქართულად; სომხები კი ამ სიტყვას გამოხატქმენ  
გოდფად, რადგანაც მათ ენაში ლ იტყულება ლ-ად, ასე  
მაგალ., სომხები იტყვიან აღბანის მაგიერ აღვანი, და-  
ზარეს მაგიერ ღაზარი, თრიალეთის მაგიერ თრელ, და  
სსვა.<sup>4</sup> 14).

სხვა ადგილს იგივე დიუბუა ამბობს: უმესხნი, მო-  
სოხნი, მოსოხის ტომი, წარმომდგარნი შირველთ ფრი-  
გიელთაგან (?) ანუ თარგამოსიანთაგან და მიდიელთაგან,  
რომელთაც იგი დაუყენებიათ წარმოტების გზაზე და  
ხაღბოსნობის მჭიდრო საფუძველზე, ბინადრობდა კოლ-  
ხიდასა და საქართველას შორის: იმას ეპერა მთელი  
მხარე უფრიდის სათავიდამ (ფაზი ძველთა მწერალთა)  
ვიდრე მტკვრის სათავემდე. თვით უარსისა და ასაღვი-  
ხის ფამალიკები უნდა ყოფილიყვნენ მოსოხის მუა-გუ-  
ლად.

<sup>14</sup>) Voyage autour du Caucase, IV, 136—141.



ერთი და იგივე არ უოფილა უოკელთვის მოხატვის  
საზღვრები: ხან კრცელი თუძმე იყო, ხან მესხელთა  
მოსახს საზღვრადნენ რამდენიმე სამეფონი, რომელნიც  
მას მძღვრობდნენ და სტრატებდნენ უხვად მინიჭებულს  
დედე-მინდვრებს. სტრატონის დროს, მისისავე სიტყვით,  
იგი დაუოფილი ქჷონდათ კოდსიდას, იბერიას და არ-  
მენიას.

რქმე აღარ განვიძიორებ, რც რომ უკმოდ ვსთქვა  
მესხეთზე (II, 17 და 71; III, 171). აქ მხოლოდ შევ-  
ნიშნავ, რომ თვით საქართველოს მწერალნი მესხებად  
იხსენიებენ მესხეთის მცხოვრებთ, რომელნიც ამ სასულით-  
ვე ცნობილნი არიან ბიბლიაში, სტრატონისაგან და ბრო-  
კომისაგან. თუძმე ისინი აქამომდე იხვე მესხებად იწო-  
დებიან, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათის მხარისა უკმო-  
ქართლად არის შეცვლილი. ეს გარემოება სკენ გვიმტკო-  
რებს დიდს ნათესაურს დამოკიდებულებას მესხებისას და  
ქართველებისას; ამასვე გვიმტკიცებენ მათი ენა, ხასიათი  
და ცხოვრების სვეულებანი, რომელნიც უოკელთვის ერთ-  
ნი და იგინივე უოფილან. მოსხნი და თობელნი-ქართველ-  
ნი—ძველის-ძველადგანვე არიან ხმობილნი, როგორც  
თვით სამღთო-წერილში, აგრეთვე ჭეროდოტისაგან. ჭე-



როდოტის სიტყვით თანხვე, მოხსნი და ტიბარენია, ერთად სწავს ხარკს სპარსეთისთვის (Hérodote, III, 94), ერთ-გვარ არიან შეიარაღებულნი და ერთს სარდალს აქვემდებარებთან ქსერქსის მხედრობაში (VII, 78) <sup>15</sup>).

რომ თუბელნი თუ თუბელნი არიან ქართველნი ეს ცხადია: იოსებ ფლავიოსი ნამდვილად ამბობს, რომ თუბელები იკუდასმქუოდნენო იმის დროს იბერნი ანუ იბერნი მღინისა, სტრაბონისა და პროკოპისა, ესე იგი აწინდელნი ქართველნი. ტუბელი, იბერა და ჭროდოტის ტიბერნი ერთი და იგივეა, თუმა თვით ქართველნი ამ სახელს არ უწოდდნენ თავიანთ ქვეყანას. აქამოდე შერჩენიან ეს სახელი მხოლოდ მათ სტრასტო ქალაქს ტბილისს, რომელიც ძველად დიდად განთქმული უოფიდა თავისის აბანოებით. მე კიდევ გამოვიკვლიე მნიშვნელობა ტუბელისა და მოხოსის ვაჭრობისა, რომელიც განვი-

<sup>15</sup>) ვიხილე ეს სენაპოტეის შესახებ, ამას ერთ-გვარად ამბობსვე ალგაუცის ანთ სტრაბონი, რომელიც ამო სწავილოდ იხსენიებს ტიბარენის ცომებს. Recherches sur les populations primitives du Caucase, Paris, 1847, p 57—58. ახლად ავტორი Géographi de Strabon par Tardieu, Paris, 1867, II, 210.

თარღებოდა ადამიანისა და სწილენსეულობის  
მოხით. მეკამტვიცებ, რომ რვაღი ტუბღესა გამოტკინ-  
დათ საქართუელთს სომსეთოდამ და თუაფიწვისა რაღა  
შესისა შხადღებოდა მის მასლობდად უუღთვისა და სხვა  
ადგილებს მრავალს ქარხანებში. რა ღიდის სხისინი არიან  
ეს ქარხანები, ამას გვიმტვიცებს „დაბადების“ თქმულეს  
წარღვის წინა-დროის ტუბღ-კაინსუ, რომელმც შირვე-  
ლად თურმე შემოიღო ყოველ-გვარა იარაღი რკინისა და  
სწილენისა.“<sup>16)</sup>

აქ შენიშვნაში დიუბუა თავისის აზრის შესამოწ-  
მებლად სელიბების მღებარებასუ მოიყვანს სკილქს  
(522 წ. ქრისტეს წინ), რომლის თქმითაც შექდევ მო-  
ხსენიქებისა სწისკრობდნენ ტაბარქინი და მხუყან ხა-  
ლბინი. ცხადიათ, რომ სკილქსი აღნიშნესო სელიბებს  
ტბიღისის მსლობდად. „მე ვუაქრობო, განხერძობის  
დიუბუა, რომ მოსახექია მოსისინი არიანო, თუმცა ქრო-  
დოტი განსხვავებას ქმოვესო მათ შორის.“

აქ უნდა დიუმტოთ, რომ გამოხენილი ახლანდელთ  
მეგნიერთა შორის ერნესტ რენანი სელიბებს ექებს მკელს  
გორდიანში, რომელმც, ამის აზრით, არის ქაღღე ასუ  
აწინდელი ქურთების ადგილ-სადგომა<sup>17)</sup>. სკქის დიქ-

<sup>16)</sup> Dubois, Voyage, IV, 336—339.

<sup>17)</sup> Ernest Renan, Histoire Générale des lan-  
gues sémitiques, Paris, 1863, p. 65—66.

რით, თუ ამ შემთხვევაში შეგდარიან დიუბუა, შეგდარი უნდა იყოს აგრეთვე რეჩინი. ერთი ეს, რომ სტრაბონი, რომელსაც სვეჩის მხარის ტომთა აღწერაში ვხვდებით ვითარებანი ვარგათ სცადებია, უწვევებს სლადებს, რომელნიც, იმის სიტყვით, უჩვენ დროში ქალღიებად იწოდებოენ,“ ტაბარუნებსა და ჭანებს შორის. ჭანებს ის ძველ მეგრებად ქსადის <sup>18)</sup>. მეორე ეს, რომ რომაელებისა და კონსტანტინების დროს სსენებული ქალღიებ ზონტის ქალღიად იწოდებოდა. მამ სხანს, რომ ის უღვის შარი მხარე ყოფილა. აი რას ამბობს ამაზე სსელაოვანი უს სენ-მარტენი: „სველნი და საშუალო საუკუნითა მწერდენი ქალღიად უწოდდნენ იმ ადგილს, რომელიც მდებარებს ტრამპიზონსა და კოლსიდას შუა და რომელიც მიუბოძებენ იმ შთას, სიადამიც სამომდინარეებს ეგრეთა, ანაქსია, მტკვარი და აკამფსისი ანუ სლადისად ჭაროხა. ქრისტეს შემდეგ მე-X საუკ. დამდეგს ეს სახელი დაურქვა ერთს კონსტანტინებოლის ხამსედრო თქმთავანს, რომლის სეტესტო ქალღიად იწოდებოდა ტრამპიზონი“ <sup>19)</sup>.

<sup>18)</sup> Strab n, X II, 497, 499.

<sup>19)</sup> J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie, Paris, 1818, I, 327. n 1. — Lebeau, Histoire du Bas-Empire, Paris, 1825, III, 366 n. 3.





II

გაგაზი.—მისი დამოუკიდებლობა უკვე აღსანიშნავი  
ისტორიულ ცოდნას.—ვერსიული ცოდნისთვის მის  
განსაკუთრებული მნიშვნელობა.—ამის შესახებ გაგაზის  
შეხვედრა.

როგორცთავს გეოლოგია გვარწმუნებს, აწინდელი  
კავკასიის არე-მარე არის სიმისა თუ ოთხის ეპოქის სა-  
წარმოები. ძველის-ძველად ამ მხარეს ვრცელი ოკეანა  
თურმე ჭეხარავდა. მომხდარა ცვლილება; ამოხეთქილა  
ვიწრო და გძელი მთის ზურგი, რომელიც ათას ფუ-  
ტამდე ახურთავებდა. შემდეგ ამისა დამყარებულა სინ-  
გრაფიკი მშვიდობიანობა; წრდილოეთით სამხრეთად  
კავკასს წყლის ზეირთინი თურმე სცემდნენ. როდესაც ბუ-  
ნება მეორედ შერეულა კავკასის ზურგის სამხრეთად  
წყლის გულადამ თავი ამოუყვია ასაღრახისა და გურიის  
ქედს. ბუნება ისევ დაჩვენებულა; მაგრამ ოკეანა ისევ  
თურმე ვრცელდება თავის მიფლობელობას როგორცთავს  
კავკასის წრდილო მხარეზე, აგრეთვე მის სამხრეთად. აქ  
უფრო ვრცელი სრუტე, რომელსაც ქსტყრია ამიერისა  
და იმიერ-საქართველოს ღელე-მინდვრები. ბუნება ისევ



შერეულა და იმ სიკრცხუ, რომელიც ჩვენ დროს ჯერჯერ  
შავსა და კასპიის ზღვებს, ცეცხლის მოძრაობის შედეგად  
ლით დაუჩქვია მოქმედება. აჭარის ქედის მსგავსად  
ჩენილა აწინდელი ასაღების ბასხეინი, გარე-მოცულა  
ცინის-ჯვარისა და ჩილდირის კრატერებით (crater დიდი  
მთის ქაში, სიღამაც გაღბობილი და გამანარა მიწა  
ამომდინარებს). ამართულან დიდ-მშენიერნი ვაკე-მინდვრე-  
ბი შურაგელისა, ჟავახეთისა, ღორისა და მადლი მთე-  
ბი ურბანდისა, აღმტანისა, აღაგუზისა და არარატისა;  
მგრამ დელე-მინდვრები რიონისა, მტკვრისა და არაქ-  
სისა ჟურ ისეკ წყალში წოდებულან. ვაკე-ზი და ვაკე-ზს  
აქითი მხარე თან გაგზავნილკვამულ კუნძულებად ამო-  
ყურებოდნენ. უკანასკნელი ეპოსა უოფილა უწოდოდ  
აწყოთებული. მაშინ მისცემია ვაკე-ზს ის სიმღლე და ის  
სახიათა, რომელსაც ასღა ის ჩვენ წარმოგვიდგეს. ამ  
დროს რკანს უკან დაუჩქვია. იმურეთი, ქართლ-გახეთი  
და ველა ვაკე-მინდვრები გარეშე ზღვებისა, შავისა და  
კასპიისა, როგორათაც თვით უბრძობის ნასეკარ-კუნ-  
ძული სმელეთად გადაქცეულან. გახსნილა ვულკანე-  
ბი ვაკე-ზის შუაგულში და აგრეთვე იმის სამხრეთად.  
აქ, სიღაც მათი კრატერები უოფილა, აღმართულან



ელბრუსი, ფასის-ძითა, უზბეკი და სხვანი. ახლა უკვე  
გულქანება დასმულია, მაგრამ ცნებლის მოძრაობა მანდ  
არ შეწყვიტულა. ამას კომიტეცებენ ერთის მხრით დენა  
მაჩას გულ დამ ცნებლის წელისა და ცნებლისა ბაქოს  
გუბერნიამა, მეორეს მხრით თვით მაჩას ძრვა, რომე-  
ლიც დროითი დრო აჩვენებს ხვენს დედა-მაჩას და რომე-  
მელმაც სხვათა შორის 1840 წელს ანარატას კრატერი  
გახსნა და მდიდარი სოფელი ასურია ხრულებით ჩანთა  
და 1859 წ. მამხია დაანგრია. აქ ისიც უნდა შევნი-  
შნათ, რომ უკანასკნელს ცვლილებას დაუდვია დასაწყი-  
სი კანცალცალკეებისა ურთიერთშორის ზღვათა, შვისა,  
კასპიისა და აზოვისა. რომ ივინი შეერთებულნი ყოფი-  
ლან, ამისი ნიშნები ასევე ქსანს, ასტრახნისსა და კავ-  
კაზის კრცელი ვაკეები წარმოადგენენ შემშრალს ზღვის  
ძირს. აქ ზოულობენ იმ მოდგმის დოკოკინებს, რომელ-  
ნიც აწინდელის კასპიის დოკოკინებში არ განსხვავდებიან.  
გარეშემო ადგილები კასპიის მხარისა აქამომდე ცვლილება-  
შია: როგორათაც ბადხანის უურეს, აგრეთვე ძიელს აღმო-  
სავლეთს ნაშირს ასტრახანამდე ისე აუწყვია, რომ ამუ-  
დარია ანუ ოქსუსი, რომელიც ბადხანის უურეს უერთ-  
დებოდა თურსმქის ველის ასურთებით, აღმოსავლუ-

თისკენ მიმართულა და არაღის ზღვაში შედის. იატაკის  
მხლობლად ქვიტკიანის შენობები, რომელნიც ოდესმე  
ზღვის ნაპირად მდგარან, ახლა ისე იდგმან, რომ  
ნაწოდინი შიგ ზღვაში, რომ მხოლოდ მოწმენდილს  
დარში იხილვებან. წარჩინებულის გეოლოგის პურნი-  
სონის ფიქრით, სრული კატაღებლკეება აწინდელის  
სამის ზღვისა, კასპიისა, შავისა და არაღისა, მომხდარა  
ისტორიულად დროების დასაწყისში 1)

კავკაზი, რომელიც ძველდვე შეადგენდა საზღვარს  
ევროპისას და აზიისას, მიმართება შავის ზღვის ბი-  
რთი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვის პირად.  
იმისი სიგძე არის 1420 კერსი. კავკაზი წარმოადგენს  
ორგვარს სისტემას: ერთია ზემო კავკაზი ანუ უბთავრესი  
მთის ზურგი; მეორეა ქვემო ანუ მცირე კავკაზი, რომელიც  
როგორაიანც ვაჭვით გიდეც, ბირგელთან შეკავ-  
შირებულად მესხეთის მთით და სურამის მთით. ზემო  
კავკაზის ზურგში უმაღლეს ქედებად ირიცხებან: ეღბრუსა

---

1) Bullet. de la Société Géologique de France, 1837, t. VIII. — Щуровскаго, Геологическіе очерки Кавказа, „Русскій Вѣстникъ“ 1862 г. февраль 459—468 и апрѣль, 707—709.



(18,526 ფუტი ზღვის შირის მღვდელად), კამთან-თხუ (17,091ფ.), დისთხუ (16,925ფ.), უაზბეკი (16,546ფ.) და ალაი-სოსი (15,244ფ.). მცირე-კაკვას უერთდება ზემოდ მოხსენებული თავრის შთა, რომელიც თვით უკავშირდება გამღვდლის შთას ინდოეთში. ზემო კაკვასის გაყოფებაზე თითქმის მკვთოვანი ნაწილი (296 კერსი) უოკელთვის დაგვირგვინებულია თოვლის გვირგვინით: აქ სამუდამო თოვლის წრე სამხრეთის (საქართველოს) შირივ არის 9,600 ფ.; შუაგულს ადგილს 10,500 ფ.; აღმოსავლეთად კი 12,200 ფ. ჩრდილო-მხარე, სამხრეთის წრეს შედარებით, 1,000—1,500 ფუტით მღვდელად ადის.<sup>2)</sup> საზოგადოდ კაკვაში უხვად არის მინიჭებული მდინარე წყლებით. მათ შორის ზოგნი მიმდინარეებენ შუა-ზღვაში, ზოგნიც კასპიის ზღვაში. შუა-ზღვას ერთეიან: კაკვასის ჩრდილოეთად—ბასსეინი უბანისა თავისის ნაკადულით, ღაბით; სამხრეთად—სოში, ენგური, კოდორი და რიონი მათის შტოებით. კასპიის ზღვას ერთეიან: ჩრდილოეთად თერგი, სუნჯა, კოი-სუ, სამური და კუმა, სამხრეთად—

<sup>2)</sup> Стебницкаго, Замѣтки о распространеніи ледниковъ на Кавказѣ въ Извѣстіяхъ Кавк. Отд. Геог. Общ., 1877 г., т. V, № 1.



მტკვარი და არაქსი მათის შტოებით. კაკაზი შერევის  
 მრავალ ტებს, თუმცა ისე მრავალს არა, რამდენადაც  
 უნდა ქვეყნების დიდი მთები. უმთავრეს ტბად იქნა  
 ცხება გოგჩა ანუ სევანგი ერეკნის გუბერნიაში (80 კი-  
 სამდე სიღრმით), შემდეგ ხოზაშინი, თოფარავანი და  
 ტბის-ყური ახალციხის მაზრაში. კერძოს შენიერი, <sup>მეტი</sup>  
 რომელთაც კაკაზი მიმოუვლიათ, განცვიფრებულნი არიან  
 მისის აღბეჭდილებით. მორიგ კატერის თქმით, არც  
 აღმა შევიდარიისა, არც თაური, არც ატლასი, არც ბლ-  
 კანი და არც აშშენინი ანუ რომელიმე კერძოს მთა არ  
 წარმოგვიდგენს ამ გვარ კლდე-ზღუდეებს და მრ-  
 ვალ-გვარად დაგლეჯილს თოვლის სივრცეს და ისე  
 კანკინად აღმართულს დიდებულს მთის წვერებს, რო-  
 გორსაც წარმოგვიდგენს ს:შულო კაკაზის ზურგი.<sup>4</sup>  
 უერთისკე შესხდევით თქვენ გრძობთ, ამბობს ბესნი,  
 ამ მთის უაღრესობას კერძოს მთებზე. ეს გაუოლებს  
 კაკაზისა, მღაღი და კრცელი, რომელიც დასტკერის  
 გრცელსკე გუმიისის ვაკე-მინდორს, მართლა და განაო-  
